CCIIR-ის წლიური ანგარიში

2022

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი
www.cciir.ge
fb/CCIIR

ჩვენ შესახებ

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR არასამთავრობო (NGO) კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაარსდა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტებს განათლების მიმართულებით,შეისწავლის განათლების სისტემაში/ სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის მისიაა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, მათში სახელმწიფო ენის განვითარებას, მათ სამოქალაქო განათლებასა და ჩართულობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

CCIIR- ის საქმიანობა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

➢ განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი -ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს თვისებრივ კვლევებსა და უწყვეტ მონიტორინგს, უზრუნველყოფს დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან.

➢ მულტილინგვური/მულტიკულტურული განათლება - ორგანიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საქართველოში მრავალფეროვან გარემოზე, უზრუნველყოფს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას; მონაწილეობს მულტიკულტურული განათლების პროგრამების, მრავალფეროვნების სწავლების კურიკულუმების შექმნასა და დანერგვაში უმაღლეს სასწავლებლებში.

➢ წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება - ამ მიმართულებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას დონეებად დაყოფილი საკითხავი ტექსტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო/ მეთოდოლოგიური რესურსების შექმნით.

➢ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება - ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების ბილინგვურ სკოლებში.

➢ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება-ამ მიმართულებით ორგანიზაცია ატარებს ტრენინგ-სემინარებსა და ვორქშოფებს ბილინგვური სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებში, უზრუნველყოფს ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშემწყობი პედაგოგიური მიდგომების განვითარებას.

➢ პუბლიკაციების გამოცემა -ორგანიზაცია გამოსცემს პოლიტიკის დოკუმენტებს/ კვლევის ანგარიშებს, ბილინგვურ საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ რესურსებს, ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს და სხვ.

პროექტები

საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების მეშვეობით 1

გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკა თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვის 2

MySchool.Ge/ganatleba.ge უკეთესი განათლების შესაძლებლობებისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის 5

ახალი სკოლის მოდელის კვლევა 6

ერთიანობა მრავალფეროვნებაშია 7

პროექტის სახელწოდება

საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების მეშვეობით
Integration of Society through Multilingual Education (ISME)-2022

დონორი

ეუთო
OSCE

პროექტის მიზანი

საქართველოში სოციალური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერის გზით.

პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები

10 სკოლა

22 მასწავლებელი

11 უნივერსიტეტი

მნიშვნელოვანი აქტივობები

განხორციელდა მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამა

განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი

შეიქმნა სკოლამდელი გაანთლების მოდული

გენდერულად სენსიტიური პედაგოგიკა თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვის

108

სკოლის გადამზადებული დირექტორი

97

სკოლის დირექტორების მიერ ჩატარებული ტრენინგი

1970

გადამზადებული მასწავლებელი

17

სახელმძღვანელოს გადამზადებული ავტორი

✱ დონორი

UN Women

* უკრაინელი და ქართველი მასწავლებლებისა და პედაგოგების გადამზადება

#	სტატუსი	ტრენინგის თემა	მონაწილეთა #
1.	მასწავლებელი	გაკვეთილის დაგეგმვა ინტერკულტურული მიდგომებით	12
2.	მოსწავლე	მულტიკულტურული განათლება და გენდერული თანასწორობა	313



მასწავლებელთა ტრენინგი



მოსწავლეთა ტრენინგი

www.gender.ge

გენდერის საკითხებზე დისკუსსის მიზნით შეიქმნა ვებგვერდი.

შეიქმნა 28 ვიდეო-რგოლი

გენდერის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოსწავლეებმა შექმნეს ვიდეო რგოლები.

მასწავლებელთა ონლაინ კონფერენცია - "გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა"

70-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ონლიან-კონფერენციაში გენდერის საკითხებზე.



MySchool.Ge/ganatleba.ge უკეთესი განათლების შესაძლებლობებისა და საშოქალაქო ჩართულობისთვის

ვებგვერდის-Ganatleba.ge და მობილური აპლიკაციის myschool.ge მახასიათებლები

საქართველოს 2086 საჯარო სკოლის შესახებ აკუმულირებული ინფორმაცია

სკოლის სახელწოდება;
სკოლის მდებარეობა/რუკაზე;
მოსწავლეთა/მასწავლებელთა რაოდენობა - ჯამურად, კლასების მიხედვით;
შშმ/სსმ პირთა რაოდენობა - ჯამურად, კლასების მიხედვით;
გოგო/ბიჭი განაწილება კლასების მიხედვით;
დაფინანსების რაოდენობა სრულად, ერთ მოსწავლეზე;
სკოლის შენობის მდგომარეობა;
სკოლის ინფრასტრუქტურა.

რეპორტის/რეაგირების სექცია

მოსაწვლეებს, მშობლებს, მასწავლებლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ, ფოტოზე/ვიდეოზე აღბეჭდონ სკოლებში არსებული პრობლემა, ატვირთონ ვებგვერდის/მობ-აპლიკაციის საშუალებით და დაელოდონ რეაგირებას.
რეპორტი იგზავნება პასუხისმგებელ პირებთან. რეაგირება ასახული იქნება რეპორტების და რეაგირების სექციაში.

სტატისტიკური მონაცემები

ვებგვერდზე აიტვირთება CCIIR-ის მიერ შედგენილი სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა აქტუალურ საგანმანათლებლო საკითხზე.

სკოლების შედარება და ვებგვერდის სტატისტიკა

ვებგვერდი ითვლის ყველა შემოსულ რეპორტსა და რეაგირებას, მის პროცენტულ მაჩვენებელს სხვადასხვა სკოლის, რეგიონისა და რაიონისთვის.

მობილური აპლიკაცია საშუალებას იძლება შედარდეს სკოლების შესახებ არსებული მონაცემები.

* დონორი: EAP OGP

ახალი სკოლის მოდელის კვლევა

CCIIR-მა მოამზადა ანალიტიკური ბიულტენი სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის გავლენის შესახებ (2013-2022 წლები)

✱ დონორი: USAID EWMI

ერთიანობა მრავალთვეროვნებაშია

2022 წლის 16 დეკემბერს გაიხსნა თსუ ახალგაზრდული ცენტრი

ახალგაზრდული პროგრამა ითვალისწინებს 14-29 წლის ახალგაზრდების ჩართულობას თბილისში მდებარე ყველა უნივერსიტეტის სტუდენტისა და სკოლის მოსწავლისათვის.

ძირითადი მიმართულებები:

- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება;
- ცენტრის წევრებისათვის პროფესიული კომპეტენციებისა და უნარების განვითარება;
- ტოლერანტობისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარება;
- თემატური საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით.

აქტივობები:

- თემატური ქვე-კლუბების ჩამოყალიბება და მუშაობა;
- თემატური კამპანიებისათვის მობილური ჯგუფების ჩამოყალიბება და გადამზადება;
- მიკრო საგრანტო პროექტების წერის სწავლება და მიკრო გრანტების გაცემა ახალგაზრდებისათვის;
- გაცვლითი პროგრამების ორგანიზება;
- დისკუსიები, სემინარები და ტრენინგები.

✱ დონორი: USAID UNAGE

CCIIR-ის წლიური ანგარიში

Funded by the European Union